

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №593/2021  
პროგრამული კოდი: 27 03 02 08

ქ. თბილისი

აპრილი

ერთი მხრივ, სსიპ - „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, თამარ მელიქიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ნეოფარმი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ლაშა ბაკურიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (შპს „ნეოფარმი“) სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT210005235 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა**

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.5. „ტექნიკური დავალება“ - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.6. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ ტენდერში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების საგანი**

- 2.1. „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის, „ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის - „ფოლიუმის მჟავის“ (სავაჭრო დასახელება - „ფოლიუმის მჟავა“; შემდგომში - „ფარმაცევტული პროდუქტი“ ან „მედიკამენტი“ ან „საქონელი“) შესყიდვა (CPV33621000).
- 2.2. მოსაწოდებელი ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, მოსაწოდებელი მედიკამენტის საერთო რაოდენობა, წარმოშობის ქვეყანა/მწარმოებელი, მახასიათებლები, ერთეულისა და საერთო ფასი, საგარანტიო ვადა, მოწოდების ვადები მოცემულია №1 დანართში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 6 939.47 (ექვსი ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი ლარი და 47 თეთრი) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, ასევე შეფუთვის, მარკირების, დაზღვევისა და ყველა სხვა თანმდევ ხარჯებს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

**4. შეფუთვა**

- 4.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.
- 4.2. „მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია „შემსყიდველის“ წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რისთვისაც „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება ტრანსპორტირებისას, შესაძლო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.
- 4.3. მოწოდებულ საქონელს უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია: „მიმწოდებლის“ დასახელება და მისამართი, „შემსყიდველის“ დასახელება და მისამართი, მიმღების დასახელება („შემსყიდველის“ კონტრაქტორი ფარმაცევტული ბაზა), ტვირთის რაოდენობა, პროდუქციის დასახელება, ინფორმაცია გადატვირთვისას ტვირთის გაფუჭების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელი პირობების შესახებ.
- 4.4. საქონლის ყუთებად დაფასოების შემთხვევაში, თითოეული ყუთი უნდა იყოს დანომრილი და მათზე მკაფიოდ უნდა იყოს დატანილი წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.